ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13.13211482**
თარიღი:**28/05/2021**

სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა მემორიალის არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების ადგილმდებარეობის განსაზღვრის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „კულტურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ზ" ქვეპუნქტისა და „ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 12 ნოემბრის N 22 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

1. სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა მემორიალის არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების ადგილმდებარეობად განისაზღვროს ქალაქ ახალციხის ცენტრალური პარკი (ცენტრალური პარკის ცენტრში არსებული წრიული).

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N62), მისი გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გელა ნოზაძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი